# ვაჟა აზარაშვილი,

## კომპოზიტორი

ქართულ სიმღერაში მუდამ აისახებოდა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრება, მისი სიხარული, დარდი, ოცნება.

მეტად პოპულარულია დღეს ჩვენს ახალგაზრდობაში საესტრადო და ჯაზური მუსიკა, ჩვენი დედაქალაქის ხშირი სტუმარია როგორც საბჭოთა, ისე უცხოური საესტრადო და ჯაზური კოლექტივები. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექტივებს შორის (განსაკუთრებით უცხოურში) ხშირად გვხვდება მეტად მდარე ხარისხის სიმღერები. აუტანელია მათი გამაყრუებელი ხმოვანება. რა მელოდია, რის მელოდია! მხოლოდ სასოწარკვეთილი ღრიალი, პათოლოგიური განცდები, რაც ასე შორს არის ჭეშმარიტი მუსიკისაგან. ჩვენის აზრით ასეთი კოლექტივების საქართველოში მიღებაზე უარი უნდა თქვან ჩვენმა მუსიკალურმა ორგანიზაციებმა.

ორიოდე სიტყვა ქართული საესტრადო მუსიკის შესახებ. შესანიშნავი სიმღერები შექმნეს ჩვენმა კომპოზიტორებმა: რ. ლაღიძემ, გ. ციბაძემ, შ. მილორავამ, ო. თევდორაძემ, ნ. გავაურმა. მათთან ერთად მინდა მოვიხსენიო ახალგაზრდა დამწყები კომპოზიტორის ვაჟა დურგლიშვილის სიმღერები, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მან აუცილებლად უნდა მიიღოს კარგი პროფესიული განათლება, რაც მას ჩვენი მოწინავე კომპოზიტორების რიგებში ჩააყენებს.

ამ ბოლო დროს მომრავლდნენ თვითნასწავლი კომპოზიტორები, რომელთაც არა აქვთ მიღებული ელემენტარული მუსიკალური განათლება. ისინი სწერენ, ინტონაციურად ბანალურ, ჰარმონიულად პრიმიტიულ, უგემოვნო სიმღერებს.

ასეთი ავტორები მეტად აქტიური პროპაგანდისტები არიან თავიანთი სიმღერებისა. უმჯობესია ისინი უფრო კრიტიკულად მოეკიდონ თავიანთ სიმღერებს და გულმოდგინედ შეისწავლონ მუსიკის ამ მეტად რთული ხელოვნების საფუძვლები.

სამწუხაროდ ჩვენი პოეტები სუსტად თანამშრომლობენ კომპოზიტორებთან. მ. ფოცხიშვილი, პ. გრუზინსკი და ვ. გოგოლაშვილი — ეს სამი ადამიანი ერთობ ცოტაა ამ საქმისათვის. ქართულ საესტრადო სიმღერას არ ექნებოდა ასეთი აღიარება, რომ ჩვენი მაღალპროფესიული შემსრულებლები არ უწევდნენ პროპაგანდას. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო შესანიშნავი საესტრადო კოლექტივი „ორერა“. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექტივს თავისი საკონცერტო პროგრამა ძირითადად ქართულ სიმღერებზე აქვს აგებული. ეს დიდებულია. ასევე დიდია ჩვენი სასიქადულო მომღერლის ნანი ბრეგვაძის როლი ქართული საესტრადო სიმღერის დაბადებაში, იგი მართლაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მრავალი ახალი სიმღერის დახვეწაში. მე ვფიქრობ, რომ ეს კოლექტივი სამაგალითოა დანარჩენი საესტრადო კოლექტივებისათვის, სადაც ნაკლებად არის წარმოდგენილი ქართული საესტრადო სიმღერები.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდები ნაკლებად იცნობენ შესანიშნავ ხალხურ სიმღერებს. ჩემი რჩევა იქნება, რომ მათ საესტრადო სიმღერებთან ერთად იმღერონ ჩვენი უკვდავი ხალხური სიმღერებიც.